

თევზის ქონი ინსურტის და ინფარქტის საწინააღმდეგო საშუალებად ცნეს



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თევზის ქონისგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები სისხლძარღვთა დაავადებებისგან, მათ შორის ინფარქტისა და ინსურტისგან სიკვდილიანობის რისკს ამცირებენ.

მეცნიერებმა ორი კვლევა ჩაატარეს. პირველ კვლევაში 8 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ ომეგა-3-უჯერი ცხიმმჟავისგან გამოყოფილ ნივთიერებას, ეთილ-ეიკოზაპენტაენის მჟავას აძრევდნენ. ეს ნივთიერება თევზის ქონისგან მოიპოვება და მას ათეროსკლეროზის განვითარების საწინააღმდეგოდ იყენებენ, რადგან ტრიგლიცერიდის დონეს ამცირებს. კვლევის შედეგებმა ცხადყვეს, რომ სისხლძარღვთა სისტემის პრობლემის მქონე პირებში, რომლებიც ეთილ-ეიკოზაპენტაენის მჟავას იღებენ, ინფარქტისა და ინსურტისგან გარდაცვალების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

მეორე კვლევაში 26 ათასი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, მათგან ერთი ნაწილი ყოველდღიურად იღებდა ერთ გრამ პრეპარატს, რომელიც როგორც ეიკოზაპენტაენის მჟავას, ასევე დოკოზაგეკსანის მჟავას შეიცავდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ ომეგა-3-უჯერი ცხიმმჟავა გულის შეტევის რისკს 28% ამცირებს.